ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725141001
თარიღი:21/05/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა

ოქმი N-06

დ. ლენტეხი 16 მაისი 2025 წ

მიმდინარე წლის 16 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 14 (თოთხმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 7(შვიდი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო სამსახურის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის Nგ97-97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

2. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N- 02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ხათუნა ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -14

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი **- ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის №97-97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

განკარგულების დანართი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1.სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისია:

1. თორნიკე გასვიანი - კომისიის თავმჯდომარე. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. დავით პირველი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3.მურადი ჩანქსელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. გამზა ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,, ლელო“.

5. მირიან ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. ,, ევროპული საქართველო“.

2. საფინანსო- საბიუჯეტო კომისია:

1. ლამზირა გუგავა - კომისიის თავმჯდომარე. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. დავით პირველი - კომისიის წევრი. პარტია ,, ხალხის ძალა“;

3. მევლუდ ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4.ამირან ქურასბედიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

5. რომან მუკბანიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ნაციონალური მოძრაობა“

3. სოც. საკითხთა კომისია

1. ზურაბ ონიანი - კომისიის თავმჯდომარე. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2.მარეხი ონიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. იაკობ გაზდელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. ირაკლი ქურასბედიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. ირინე ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ელისაშვილი მოქალაქეები“;

4. სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:

1. სოსო ავალიანი - კომისიის თავმჯდომარე. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

2. მევლუდ ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. დავით პირველი - კომისიის წევრი. პარტია ,,ხალხის ძალა“; ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

4. ირაკლი ქურასბედიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. გოგა შავრეშიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,გახარია საქართველოსთვის“

5. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

1. დალი ტვილდიანი - კომისიის თავმჯდომარე. დამოუკიდებელი დეპუტატი.

2. მევლუდ ლიპარტელიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

3. კახა ლიპარტელიანი -კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართელო“

4. მარეხი ონიანი - კომისიის წევრი. პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

5. ნინო ბენდელიანი - პარტია ,,გახარია საქართველოსთვის“.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არყოფილა.

განკარგულების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -14

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ნოემბრის №97-97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ანგარიშთან დაკავშირებით შეკითხვები დასვეს დეპუტატებმა. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება გარე განათებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ წევრმა გოგა შავრეშიანმა დასვა კითხვა, თუ რა კეთდება გარე განათებასთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარე განათების მუხლიდან წლის განმავლობაში გადის 300000 ლარი. თითქმის 30000 ლარია თვეში. ეს არის ძალიან დიდი ციფრი. მერის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია, რომელიც სწავლობს გარე განათებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სოფლებში ადგილზე მისვლით მოწმდება ფაქტები და იმედი გვაქვს, რომ კომისიის მუშაობის შედეგად შეიცვლება გარემოება. გამოინახება გამოსავალი ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - ჩვენ შიდა აუდიტისგან გვაქვს მითითება, რომ ასეთი თანხები დაიდოს ტენდერზე და იქნება უფრო მეტი კონტროლი დაინტერესებული პირის მიერ.

გარკვეული მსჯელობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საფინანსო სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -14

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო სამსახურის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეფასდეს დადებითად.

3. მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N- 02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის დადგენილების დანართში.

კერძოდ 1.დანართის მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. დაბადებიდან შ.შ.მ. პირებზე და 0-18 წლამდე ასაკის

რეაბილიტაცია/აბლიტაციის საჭიროების მქონე ბავშვთა ფინანსური დახმარება;

1. დახმარება მიეცემათ ბავშვობიდან შ.შ.პ.-ს , რომლებიც ვერ ახერხებენ

დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებული არიან:

ა) ცერებრალური დამბლა;

ბ) დაუნის სინდრომი;

გ) ლეიკემია;

დ) ყრუ-მუნჯი.

ე) შაქრიანი დიაბეტი I ტიპი;

ვ) სრული სიბრმავე;

ზ) ეპილეფსია;

დახმარება გაიცემა 18-წლამდე ყოველთვიურად 100 (ასი)ლარის ოდენობით.

80(ოთხმოცი)ლარის ოდენობით, იმ ბენეფიციარზე რომელიც ვერ

გადაადგილდება და

სარგებლობს ეტლით, ხოლო დანარჩენ ბენეფიციარებზე დახმარება გაიცემა 60

(სამოცი) ლარის ოდენობით;

თანხა გაიცეს 2024წ - დან არსებული ბაზის საფუძველზე და ახალი

ბენეფიციარის გამოვლენის შემთხვევაში დახმარების მიმღებმა პირმა

მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

(ამონაწერი სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან);

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;''

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -14

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 იანვრის N- 02 დადგენილებაში.

4.მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა დაწვრილებით განავრცო საკითხი.

საკრებულოს წევრებმა საკითხთან დაკავშირებით დასვეს შეკითხვები. კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა იკითხა თუ ვინ მიაწოდებდა ინფორმაციას მომსახურების მიმღებ პირებს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების შესახებ;

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროცესს უზრუნველყოფს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია.

მოისმინეს: სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა დასვა შეკითხვა თუ რა არის ამ პროგრამის ძირითადი მიზანი:

მომხსენებელმა დამატებით განმარტა, რომ

1.პროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებული ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებებით;

2.პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ იხდივიდუალური საჭიროებაზე ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურეობის მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

შეკითხვების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 14

წინააღმდეგი-0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი